

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
დეპოზიტი ყულაბის შესახებ

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- დეპოზიტის მინიმალური ნაშთი: 10 (ერთეული) დეპოზიტის ვალუტაში
- დეპოზიტის ვადა: 3 (სამი) თვე, ანგარიშის გახსნის დღიდან.
- დეპოზიტის ვადის გაგრძელება: დეპოზიტის მოქმედება ყოველ ჯერზე ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო 3 (სამი) თვით (გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც დეპოზიტის მოქმედების გაგრძელებას გამორიცხავს საქართველოს კანონმდებლობა), ვიდრე დეპოზიტარი არ გატეხავს ყულაბას (ვადამდე მოშლის დეპოზიტს). დეპოზიტის ვადის ავტომატური გაგრძელების თარიღად მიიჩნევა დეპოზიტის ვადის ამოწურვის დღე.
- პირგასამტეხლო დეპოზიტის ვადამდე მოშლისათვის: 3 (სამი) თვიანი პერიოდისათვის დეპოზიტზე დარიცხული სარგებელის ოდენობა.
- ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები “დეპოზიტი ყულაბის” შესახებ ხელშეკრულების პირობებში (მათ შორის, საპროცენტო განაკვეთში), რის შესახებაც დეპოზიტარის ინფორმირება მოხდება ცვლილებ(ებ)ის ძალაში შესვლამდე მინიმუმ 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე, ერთ-ერთი შემდეგი ფორმით: წერილობით, ელექტრონული ფოსტის, ბანკის დისტანციური მომსახურების არხის, ან სატელეფონო (მოკლე ტექსტური შეტყობინება, სატელეფონო ზარი) საშუალებით. ინფორმირება არ არის საჭირო, თუ ცვლილება ხორციელდება დეპოზიტარის სასარგებლოდ.
- დეპოზიტარი უფლებამოსილია წარადგინოს პრეტენზია სს “ბაზისბანკის” ნებისმიერ სერვისცენტრში ზეპირი ან სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.
- დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406

ხელშეკრულება (დეპოზიტი ყულაბის შესახებ)

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტს შეუძლია ისარგებლოს დეპოზიტით „ყულაბა“ (შემდომში „დეპოზიტი“ ან „ყულაბა“), რაც გულისხმობს ბანკის მიერ კლიენტისათვის სადეპოზიტო ანგარიშის გახსნას და ანგარიშზე რიცხული თანხისთვის საპროცენტო სარგებლის დარიცხვას, ამ სახის დეპოზიტისათვის (დეპოზიტი „ყულაბა“) ბანკის მიერ დადგენილი პირობებით.

1.2. დეპოზიტის გასახსნელად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით (შემდგომში „განაცხადი“) და აირჩიოს დეპოზიტზე მისაბმელი თანხის დაგროვების სქემა. დასაშვებია, კლიენტის მიერ განაცხადის წარდგენა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განაცხადის წარდგენას უთანაბრდება კლიენტის მიერ ბანკის შეთავაზებაზე დათანხმებას. ამასთან, დასაშვებია შეთავაზებაზე დათანხმება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

1.3. ყულაბით მომსახურების მისაღებად კლიენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მიმდინარე ანგარიში სს „ბაზისბანკში“. თუ კლიენტს არ აქვს მიმდინარე ანგარიში, განაცხადი იმავდროულად ჩაითვლება განაცხადად მიმდინარე ანგარიშის გახსნის შესახებ და სადეპოზიტო ანგარიშის გახსნასთან ერთად კლიენტს გაეხსნება მიმდინარე ანგარიში.

1.4. 2020 წლის 1 ივლისიდან, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ყველა ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.

მუხლი 2. დეპოზიტის მოქმედების ვადა და პირობები

2.1.1. დეპოზიტი (დეპოზიტი „ყულაბა“) იხსნება 3 (სამი) თვის ვადით, რომლის ათვლა იწყება სადეპოზიტო ანგარიშის გახსნის დღიდან.

2.2. დეპოზიტის მინიმალური ნაშთი: 10 (ერთეული) დეპოზიტის ვალუტაში.

2.1.3. დეპოზიტის მოქმედება ყოველ ჯერზე ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო 3 (სამი) თვით, ვიდრე დეპოზიტარი არ გატეხავს ყულაბას (ვადამდე მოშლის დეპოზიტს), დეპოზიტის ვადის ავტომატური გაგრძელების თარიღისათვის ბანკში ამ სახის დეპოზიტისათვის (დეპოზიტი „ყულაბა“) დადგენილი პირობებით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც დეპოზიტის მოქმედების ავტომატურ გაგრძელებას გამორიცხავს საქართველოს კანონმდებლობა.

2.1.4. დეპოზიტის ვადის ავტომატური გაგრძელების თარიღად მიიჩნევა დეპოზიტის ვადის ამოწურვის დღე.

2.1.5. „2.1.3.“ პუნქტით დადგენილი წესით დეპოზიტის მოქმედება ვადის გაგრძელება ხორციელდება 3 (სამი) თვიანი ვადის ამოწურვის ყოველ ჯერზე.

2.1.6. სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული თანხა და დეპოზიტზე დარიცხული სარგებელი დეპოზიტის ვადის ამოწურვის შემდეგ ან ყულაბის გატეხვის (დეპოზიტის ვადამდე მოშლის) შემთხვევაში, გადაირიცხება კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე.

2.1.7. დეპოზიტს სარგებლის წლიური განაკვეთი განისაზღვრება მოცემულ მომენტში ამ სახის დეპოზიტისათვის (დეპოზიტი „ყულაბა“) ბანკის მიერ დადგენილი ოდენობით.

2.1.8. დეპოზიტზე სარგებლის დარიცხვა იწყება სადეპოზიტო ანგარიშზე ამ სახის დეპოზიტისათვის (დეპოზიტი „ყულაბა“) დადგენილი მინიმალური ნაშთის განთავსების მომდევნო დღიდან, დეპოზიტის ვადის ამოწურვის ან ყულაბის გატეხვის დღემდე, წელიწადში 365 (სამასსამოცდახუთი) დღეზე გადაანგარიშებით.

2.1.9. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ყულაბას გატეხავს (დეპოზიტის ვადამდე მოშლის) დეპოზიტის მოქმედების 3 (სამი) თვიანი ვადის ამოწურვამდე, კლიენტს დაერიცხება პირგასამტეხლო მოცემული 3 (სამი) თვიანი პერიოდისათვის დეპოზიტზე დარიცხული სარგებლის ოდენობით.

2.1.10. დეპოზიტზე შესაბამის ვალუტაში 500 000 (ხუთასი ათასი) ლარს/აშშ დოლარს/ევროს ზემოთ არსებულ თანხას სარგებელი არ დაერიცხება.

2.1.11. ბანკს უფლება აქვს, ცალმხრივად შეცვალოს ამ სახის დეპოზიტზე (დეპოზიტი „ყულაბა“) დასარიცხი სარგებლის საპროცენტო განაკვეთი. ცვლილებების შესახებ კლიენტის ინფორმირება მოხდება ცვლილებების ძალაში შესვლამდე არანაკლებ 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ერთ-ერთი ფორმით.

2.1.12. სადეპოზიტო ანგარიშზე/ანგარიშიდან თანხის ჩარიცხვა, შეტანა, გადარიცხვა და გატანა შესაძლებელია მხოლოდ კლიენტის მიმდინარე ანგარიშ(ებ)ის მეშვეობით.

2.1.13. თუ დეპოზიტი გამოყენებულია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, კლიენტის მიერ დეპოზიტის ვადამდე მოშლა და სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული თანხის გატანა/გადარიცხვა დაუშვებელია, თუ ბანკის მიერ სხვა გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

2.1.14. დეპოზიტის ვალუტა დეპოზიტზე პირველადი შენატანის სახით განსათავსებელი თანხის მოცულობა და დეპოზიტზე მიბმული თანხის დაგროვების სქემა განისაზღვრება კლიენტის განაცხადით.

2.1.15. კლიენტი უფლებამოსილია დეპოზიტი მოშალოს მასზე მიბმული დაგროვების სქემის გაუქმების გარეშე, ასეთ შემთხვევაში, სადეპოზიტო ანგარიშზე ამ სახის დეპოზიტისათვის (დეპოზიტი “ყულაბა”) დადგენილი მინიმალური ნაშთის განთავსების მომდევნო დღიდან იწყება დეპოზიტის ახალი 3 (სამ) თვიანი ვადის ათვლა.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. კლიენტს უფლება აქვს:

3.1.1. მიიღოს დეპოზიტზე რიცხული თანხა და შესაბამისი სარგებელი ამ ხელშეკრულებით და ბანკის მიერ ამ სახის პროდუქტისათვის განსაზღვრული წესითა და პირობებით.

3.1.2. საკომისიო გადასახადის გარეშე მიიღოს ინფორმაცია მის სადეპოზიტო ანგარიშზე ოპერაციების წარმოების შესახებ.

3.1.3. წარადგინოს პრეტენზია ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრში ზეპირი ან სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პრეტენზიის მიღების და განხილვის პროცედურა წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და მისი მიღება შესაძლებელია ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრში. პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე სათანადო ფორმით შედგენილი წერილობითი პრეტენზიის ბანკის მიერ მიღების დღიდან.

3.1.4. ნებისმიერ დროს, ვადამდე მოშალოს დეპოზიტი (გატეხოს ყულაბა).

3.2. კლიენტს ეკრძალება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გამოყენება უკანონო მიზნით ან არა დანიშნულებისამებრ (მაგალითად ბანკის რომელიმე მომსახურებისათვის/პროდუქტისათვის დადგენილი საკომისიოს გადახდისაგან თავის არიდება/გვერდის ავლა).

3.3. ბანკი ვალდებულია:

3.3.1. მიიღოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, როგორც დეპოზიტი და დაარიცხოს მას სარგებელი ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

3.3.2. კლიენტს გადასცეს დეპოზიტზე რიცხული თანხა და ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაბამისი სარგებელი დეპოზიტის ვადის ამოწურვის შემდეგ ან დეპოზიტის ვადამდე დახურვის შემთხვევაში, იმავე ვალუტაში.

3.3.3. დაიცვას საბანკო ინფორმაციის კონფიდენციალურობა, არ გასცეს ასეთი ინფორმაცია მესამე პირზე კლიენტის თანხმობის გარეშე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

3.4. ბანკს უფლება აქვს:

3.4.1. განკარგოს დეპოზიტის ანგარიშზე რიცხული თანხა საკუთარი სახელითა და შეხედულებისამებრ.

3.4.2. კლიენტის წინასწარი ინფორმირების გარეშე შეუწყვიტოს კლიენტს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და დაარიცხოს პირგასამტეხლოს დეპოზიტზე დარიცხული სარგებლის ოდენობით, თუ ბანკს გაუჩნდება ეჭვი, რომ კლიენტი არღვევს „3.2.“ პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას;

3.4.3. უაქცეპტო წესით ჩამოწეროს ბანკში არსებული კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

მუხლი 4. განსაკუთრებული დებულებები

4.1. ბანკს უფლება აქვს კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ამ დეპოზიტის უზრუნველყოფით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გამოუყოს კლიენტის ან მესამე პირს ბანკში არსებული ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტი.

4.2. იმ მომენტიდან, როდესაც დეპოზიტი გახდება “4.1.” პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველყოფის საშუალება (მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება), ბანკს ეძლევა დეპოზიტის და მასზე დარიცხული სარგებლის ხარჯზე თავისი მოთხოვნ(ებ)ის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება ყველა სხვა კრედიტორთან შედარებით.

4.3. ამ ხელშეკრულებით კლიენტი ბანკს ანიჭებს, ბანკის წინაშე მისი ვალდებულების დასაფარად, ან შესამცირებლად მისი დამატებითი თანხმობის გარეშე, დავალიანების თანხის ბანკში არსებული კლიენტის ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან ჩამოწერის უპირობო უფლებამოსილებას. თუ დავალიანება დაფიქსირებულია ეროვნული ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ექვივალენტი დგინდება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის ბანკში დადგენილი კურსით. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულება ითვლება კლიენტის მიერ ვადამდე შეწყვეტილად.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედება და სხვა პირობები

5.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის კლიენტის მიერ მასზე მიერთების დადასტურების (დასაშვებია ხელშეკრულებაზე მიერთების დადასტურება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებ(ებ)ის გამოყენებით) მომენტიდან და იმოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

5.2. ამ ხელშეკრულების ტექსტი განთავსებულია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე <http://www.basisbank.ge/agreements/>, მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტს გადაეცემა დაბეჭდილი და ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება.

5.3 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.

5.4. შეტყობინება ხორციელდება წერილობით, დისტანციური არხ(ებ)ი (მათ შორის, ინტერნეტ-ბანკი, მობაილ-ბანკი), ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც - ელექტრონული ფოსტა, ან სატელეფონო (სატელეფონო ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება) შეტყობინება.

5.5. ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია შესაბამისი წესით (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:

5.5.1. კურიერის ან საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში – (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია ბანკის მიერ - გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი); (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია დეპოზიტარის მიერ - ბანკის კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო საბანკო დღეს;

5.5.2. ბანკის მიერ შეტყობინების ელექტრონული ფოსტის, დისტანციური არხის (მათ შორის, ინტერნეტ-ბანკის, მობაილ ბანკის) ან ტელეფონის (სატელეფონო ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება) მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში – გაგზავნის თარიღის მომდევნო საბანკო დღეს.

5.6. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება ერთ-ერთი შემდეგი მიზეზის გამო: (ა) ამ ხელშეკრულების “5.5.” პუნქტში მითითებულ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, (ბ) ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან (გ) ადრესატი თავს აარიდებს შეტყობინების მიღებას.

5.7. წინამდებარე ხელშეკრულებაზე დასტურით, დეპოზიტარი თანახმაა შეტყობინება მიიღოს ამ მუხლით დადგენილი წესითა და ფორმით.

5.8. დეპოზიტარი ვალდებულია ცვლილების განხორციელებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში, წერილობით აცნობოს ბანკს სახელი/გვარის (სახელწოდების), საპასპორტო მონაცემების (რეგისტრაციის მონაცემების), მისამართის (იურიდიული/ფაქტიური) და საკონტაქტო მონაცემების (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა და ა.შ) ცვლილებების შესახებ.

5.9. ბანკი პასუხს არ აგებს დეპოზიტარის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგებზე.

5.10. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268–ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (მათ შორის გადახდის ბრძანება) მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

5.11. მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია ბანკის დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

5.12. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია: (ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, ან (ბ) ბანკის მიერ, ცალმხრვად, რა დროსაც დეპოზიტარს შეტყობინება ეგზავნება ცვლილებ(ებ)ის ძალაში შესვლამდე მინიმუმ 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე, ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლით დადგენილი ერთ-ერთი ფორმით. თუ დეპოზიტარი არ ეთანხმება ცვლილებას, იგი უფლებამოსილია, ცვლილების ძალაში შესვლამდე შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, ხელშეკრულების „5.4.“ პუნქტით დადგენილი ფორმით ბანკისათვის შესაბამისი შეტყობინების გადაცემის გზით. ამასთან ასეთ შემთხვევაში, დეპოზიტი ვადამდე შეწყვეტილად არ მიიჩნევა და დეპოზიტარს არ დაეკისრება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი პირგასამტეხლოს გადახდა.

5.13. იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტარი არ ისარგებლებს ამ ხელშეკრულების “5.12.” პუნქტში აღწერილი უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები ჩაითვლება დეპოზიტარის მიერ მიღებულად, ხოლო ხელშეკრულება შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად.

5.14. ბანკს არ ევალება დეპოზიტარის ინფორმირება ხელშეკრულების ისეთ ცვლილებაზე (დამატებაზე), რომელიც ხორციელდება დეპოზიტარის სასარგებლოდ და უფლება აქვს, ძალაში შეიყვანოს ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე www.basisbank.ge და/ან ბანკის სერვისცენტრებში შესაბამისი ინფორმაციის განთავსებისთანავე.

5.15. კლიენტის განაცხადი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.

5.16. იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

5.17. დეპოზიტარი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, მისი დამატებითი თანხმობის გარეშე:

5.17.1. კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, დეპოზიტარის შესახებ პერსონალური და/ან ბიომეტრიული მონაცემები.

5.17.2. დაამუშავოს დეპოზიტარის შესახებ ნებისმიერი მესამე პირისაგან და/ან თავად დეპოზიტარისაგან მიღებული, აგრეთვე საჯაროდ ხელმისაწვდომი ნებისმიერი პერსონალური და/ან ბიომეტრიული მონაცემი, მათ შორის გამოიყენოს მოპოვებული მონაცემი პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის.